



საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო კომიტეტის

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
14 მაისი, კვირა, 1989 წ.
№ 91 (10 010) • ღამის 3 კაბა.

გამოცემის 1934 წლის 13. პერიდიკა



ამირან ტოტიკაშვილი ფინალისაკენ მიიწევს

პელნიკაი. ძიუდოსტა ევროპის ჩემპიონატის მეორე კალენდარული დღე ოთხი მომდევნო წონის მოჭიდებულა წინასწარ შეხვედრებს დეტო.

ბრწყინვალედ ასპარეზობს 60 კგ წონაში სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი და ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, თბილისელი ამირან ტოტიკაშვილი. მან უკვე სამი შეხვედრა მოიგო. ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, მინუსინსკელმა სერგეი კოსმინინამ (65 კგ).

არასაბარბილო კენჭისყრა შეხვედა სეულის ოლიმპიადის მეორე პრიზიორს, გორელ გიორგი თენაძეს (71 კგ), პირველ ორთაბრძოლაში იგი იოლად გაუძლია ინგლისელ სტივენ რავესკროფტს. მეორე წრეში მისი მეტოქე იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი მარკ ალექსანდერი. გამარჯვება ალექსან-

დერს დარჩა. რომელიც გააგრძელებს ბრძოლას ოქროს მედლისთვის. სწორედ ამის გამო თენაძე ბრინჯაოს ჯილდოსთვის ბრძოლის შანსს ინარჩუნებს.

უხეიროდ წაუვიდა საქმე აბსოლუტურ წონაში მოასპარეზე ჩვენი ნაკრების დებიუტანტს, კუბიშიველ სერგეი კოსოროტოვს, რომელმაც პირველივე შეხვედრა დათმო ბელგიელ პარი ვან მარნეველთან.

საბჭოთა ძიუდოსტი ქალები ამ ჩემპიონატში აშკარად სუსტად გამოდიან. ბრძოლას ფაქტიურად განაგრძობს აბსოლუტურ კატეგორიაში მოასპარეზე ლენინგრადელი ელენა გუშინა. მან უკვე ორი მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ბულგარელი ცვიტანა ტომოვა.

გუშინ სადამოთი ოთხ წონაში გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები.

ველორბოლა გარ-ში გადანიცვლა

ჭობაშვილი (გარ). მშვიდობის ველორბოლის მეხუთე ეტაპი (197 კილომეტრი) სტარტი პოლონეთის ქალაქ პოზნანში აიღო, ფინიშის ხაზი კი კობუსში გადაკვეთა. ეტაპი მოიგო გარის წარმომადგენელმა უკვე რაბბმა, რომელმაც ზედ ფინიშზე გადაუსწრო თანაგუნდელს ოლაფ ლუდვიგს. მესამე ადგილი პოლონელ ზბიგნევ სარუსს ხვდა.

პირად ჩათვლაში ლიდერობას ბულგარელი პაველ შუმანოვი ინარჩუნებს. ბულგარელები გუნდურ შეჯიბრებაშიც წინ არიან.



მსოფლიო პირველობები მონაწილე!

მეხუთე?!

ბიზნისის




ქეთევან კაბიანი



ნათია ჯანჭღავა



თეა ლანჩავა



სოფიკო ნიკოლაძე



დიანა ღარჩია

არზმარც ვიუწყებოდით, 11 მაისს მოსკოვში გამართა ჯადარაპის საკავშირო ფედერაციის პრეზიდენტის სხდომა. ჩვენ უკვე გაცნობით, რომ 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობაზე სათამაშოდ დაუშვეს თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კაბიანი. ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ 18-წლიანთა მსოფლიო პირველობაზე გამოვა თბილისელი ოსტატი ნათია ჯანჭღავა. რაც შეეხება 18 წლამდე ასაკის გოგონათა შეჯიბრებას, ამ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრებიან ქუთაისელი და თბილისელი ოსტატობის კანდიდატები სოფი-

კო ნიკოლაძე და თეა ლანჩავა (ლანჩავას ეს უფლებმა ავტომატურად მიენიჭა, როგორც შარშანდელი წლის მსოფლიო ჩემპიონს ამ ასაკობრივ ჯგუფში).

ეს უნიკალური ამბავია. მსოფლიო ჯადარაპის ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, როცა ერთი რესპუბლიკის ამდენ მოჭადრაკეს მოეპოვებინოს მსოფლიო პირველობებზე მონაწილეობის უფლება.

ამ დღეებში გადაწყდება 12 წლის ბათუმელი ოსტატობის კანდიდატის დიანა ღარჩიას მონაწილეობის საკითხი ამ ასაკის ნორჩთა მსოფლიო პირველობაზე.

პრიზი — ზუგდიდელ მხედარს

ოჩაჩიძეში მიმდინარეობს საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში ჯაბუტა შორის. ასპარეზობაში რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრებიც მონაწილეობენ. სურათზე თქვენ ხედავთ დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე“ გამარჯვებულს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრს, ზუგდიდელ მხედარს როზმან ლავილიას.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტის ფოტო.



პოლოსკი. აქ ძალოსანთა საწვრთნელ ბაზაზე წვრთნას გადის ჩვენი ქვეყნის იუნიორთა ნაკრები. ერთი კვირის შემდეგ ისინი გაემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში და მონაწილეობას მიიღებენ თანატოლ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში.

როგორც მწვრთნელებმა განაცხა-

კახი კახიანი საკრებში

დეს, გუნდი უკვე დაკომლექტებულია და მზად არის საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის. ნაკრებში მოხვდნენ სპორტსმენები, რომლებმაც არაერთხელ გამოიჩინეს თავი საერთაშორისო შეჯიბრებებში და ოფიციალურ ტურნირებში. მათ შორის არიან ცხინვალელი კ. კახიანი და აშხაბადელი ა. ორბელიანი.

გლადიერ ბარკაია: „...არ უნდა დავუშვათ უესლოა, რასაც უნდა უნდა არ გვაკატინებს“

„ფეხბურთის აპაღმეიკოსს“ ეძახდნენ ამ ჰქვიან, საზრიან, ტექნიკურ მოთამაშეს. იგი მთელი ათი წელი თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის სახელგანთქმულ თავდამსხმელთა შორის გამოდიოდა მეტწილად „მ-წომრიანი“ მაისურით. ძნელად თუ ვინმე შეედრებოდა საზრიანობით არა მარტო მშობლიურ კლუბში, არამედ, საერთოდ, მთელ საბჭოთა ფეხბურთში. გულშემატკივრებს უყვარდათ მისი ღამაში, ვირტუოზული თამაში. ბევრს დღესაც ახსოვს ბარკაიას მიერ დატრიალებული „ქარიშხალი“ ბელგიის „და ვანტუაზის“ საჭარბო მოედანზე 1959 წელს, გავიხსენოთ თუნდაც მოსკოვის „ტორპედოსთან“ 1960 წლის ფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე, ან ყუმბარისებური დარტყმით გატანილი გოლი დევ იაშინის კარში 25 მეტრიდან (1963 წელს), ორი დიდოსტატური გოლი დანიელთა კარში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, პელეს სახელგანთქმული გუნდის წინააღმდეგ თამაში მოსკოვში 1965 წელს (მწვრთნელმა ნ. მოროვოვმა მაშინ ბარკაია რატომღაც ნახევარმცველად ათამაშა).

გლადიერ (სიომა) ბარკაია ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის მთავარ მესვეურად — საქართველოს სპორტსაქმის ფეხბურთის სამმართველოს უფროსად დანიშნა.

რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, ფეხბურთის მოყვარულები სიამოვნებით შეხვდნენ გლადიერ ბარკაიას დაბრუნებას ფეხბურთში, მეტად პრესტიჟულ და პასუხსაგებ პოსტზე.



უალოდ საქმეზე გადავიდოდეთ. ეგებ გულშემატკივრებს მოკლედ შევახსენოთ თქვენს მიერ განვლილი გზა დიდი ფეხბურთისაკენ.

— გაგრის „დინამოში“ ვთამაშობდი მწვრთნელ რევაზ შარტავას

ხელმძღვანელობით. 1956 წელს საქართველოს ჯაბუტა ნაკრებში მოხვდით ანდრო ჟორდანიასთან. საკავშირო ტურნირი მოსკოვსა და ლენინგრადში მიმდინარეობდა. ფინალში უკრაინის გუნდი დავამარცხეთ 2:0 და ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ჩემთან ერთად გამოდიოდნენ ზურაბ სოტკილაძე, რომელიც ქაქულაშვილი, ანზორ კვაჭაძე, ალექსანდრ ივანოვი, თთარ რუხაძე, სეზონის მიწურულში გაიღო ჩველავამ „დინამოსთვის“ გამსინჯა — გამოიყვანა ამხანაგურ მატჩში-მოსკოვის „ტორპედოსთან“, მერე კი — ირანის ნაკრებთან. 1957 წლის სეზონიდან უკვე, ასე ვთქვათ, ოფიციალური დინამოელი გავხდით.

● თქვენი ბიოგრაფიის უკანასკნელ, შედარებით ნაკლებად ცნობილ წლებზე რას გვეტყვი?

— 1967 წლის სეზონში, როდესაც მე მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშე თბილისის „დინამოში“, უფროს მწვრთნელად მოსულმა ვიანესლავ სოლოვიოვმა შემომათავაზა მასთან ერთად მწვრთნელად

მემუშავა — დინამოელებთან თითქმის სამი წელი დავყავი, მერე წავი. მთელი წელიწადი უმუშევარი ვიყავი: „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მაშინდელმა მესვეურებმა „ადგილი ვერ მიშოვნეს“. გადაწყვიტე სპეციალობით, ეკონომისტად მემუშავა — ჯერ თბილისში, შემდეგ სოხუმსა და გავრაში. ერთ ხანს ლესელიძის პანსიონატ „სპორტის“ დირექტორი გახლდით, მერე სოხუმისა და გავრის საფეხბურთო სკოლებს ვხელმძღვანელობდი, ალასაძის „დინამოს“ ბაზის დირექტორის თანამდებობაზეც დავყავი, იქედან თბილისში, მინისტრთა საბჭოს სამეურნეო სამმართველოში ვაღმომიყვანეს და აი, ...როგორც ხედავთ, კვლავ ფეხბურთი.

● ფეხბურთი ყველას გვიყვარს, თბილისის „დინამოს“ ბელგიც, ცხადა, ყველას საზრუნავია, მაგრამ, დავეთვანხმებით, არც „დინამოს“ თამაშით ვართ კმაყოფილი და არც ქართული ფეხბურთის საერთო მდგომარეობა საწუგეშო. ავიღოთ ბათუმის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“, ლანჩხუთის „გურია“, ჩვენი მეორე ლიგის გუნდებს. ეს ამბავი, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი პირველთაგანს თქვენ ვაწუხებთ.



● უურნალობები სხვებთან ერთად გავგახარა ამ ცნობამ. დიდი იმედით შევყურებთ თქვენს დაბრ-

თვალსაზრისი

საით მიდის ოლიგოპიური სპორტი?

გვერდის მეორე უბედურება: ოლიგოპიური თუ მსოფლიო ჩემპიონებისა და რეკორდსმენებისათვის თანხას არ ვიშურებთ (რასაც პირადად მეც მივესალმები — დემერტაქნას, უფრო მაღალი საზღვრები გავგვიხარებინოს ჩვენი სპორტმენები), მაგრამ ოლიმპიადის მედლები სიკაცობრივად თვალმომჭირილებმა დავივიწყეთ, რომ ეს გულუხვობა შედარებითაა და გარდა მისი ორგანიზებულ საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამარჯვებულ სპორტმენებს უნდა გავანაწილოთ. სასიამოვნოდ გაცნობიერებთ დაგრძობ, როცა გავიგებთ, რომ საბჭოთა მათონიერად ჩვენს ორგანიზაციას აქვს შეერთებული შტატებში მოწყობილ მარათონულ შეჯიბრებებზე გამარჯვებისათვის „როსონი-ისი“ ფორმის ცინცალი ავტომანქანა და 22.000 დოლარი მთავრად; სწორედ იმ დროს კი, თბილისსა და გორში ჩატარებულ მოქალაქეთა ტურნირებზე გამარჯვებული უცხოელი სპორტმენებისათვის ძლიერ გავიმეტრეთ ქონების მავნარი სუვენირები, რომლებიც მათმა პატრონებმა სასტუმროში ან აეროპორტში დატოვეს.

ერთი სატვივარიც გავიხსენოთ: როცა ბატონობდა კუბერტენისეული მოწოდება — „მთავარია ოლიმპიადის მონაწილეობა და არა გამარჯვება“, — სპორტმენებისათვის ოლიმპიადის მარცხს არ ჰქონდა საბედისწერო მნიშვნელობა, მაგრამ როცა, ერთი მხრივ, მარცხი ოლიმპიურ სტადიონზე სამშობლოს ღალატად გვეტოვებდა და მეორე მხრივ — სპორტმენების სტრუქტურის როლში ქვეყნისა და ხალხის ღირსების დაცვას ფულადი თანხით განმტკიცებული დიდება შეენაცვლა, — გვიხსენებოდა აღებულ იქნა გამარჯვების ისეთ დამაღვრებელ საშუალებებს, როგორცაა ღონისძიება. ვინც თვალს ადევნებს სპორტულ პრესას, იგი შეამჩნევდა, რომ ღონისძიების გამო მსოფლიოს სხვადასხვა სპორტული მოძრაობების ხელმძღვანელთა შეშფოთებას ხმა შეუერთა საბჭოთა სპორტულმა ხელმძღვანელობამაც. „ღონისძიება ერთ ქვეყანაში გზის გადაკვეთით ვერ დაამარცხებს, მას ყველამ კოლექტიური ბრძოლა უნდა გამოვუცვალოთ“, — აღნიშნა მ. გრამინი. ჩვენ არც ვიცოდით, რომ ეს უბედურება საბჭოთა სპორტსაც ღრღნიდა (თუმცა ამის საერთო აღიარებისაგან თავს ვიკავებდით), მაგრამ მდგომარეობის ამგვარი შეფასება ფაქტობრივად მის აღიარებას ნიშნავს. ეს აზრი საკავშირო ტელევიზიის მიერ წელს მარტში გადაცემულ „არენის“ ერთმა სიუჟეტმა განამტკიცა. ვისაც ახსოვს, მანინ ტელევიზიონთან გამოყვანის რომელიღაც ცნობილი საბჭოთა სპორტმენი (მისი ვინაობა არ გავ-

ვიმხილეს. ტელევიზიის მუშაკებმა დააკამოფილეს მისი თხოვნა და ტელევიზიონთან ზურგშეკცევით დასვეს), რომელმაც კითხვაზე — „ბევრნი ხმარობდით დონანგს?“ ასეთ პასუხს გასცა: „საბჭოთა კავშირში ასეთი სპორტმენები ბევრნი არიან“ და შემდეგ დააზუსტა ნათქვამი — „ჩვენ ძალზე ბევრნი ვართ“. „ძალზე ბევრნი“ იას ნიშნავს, რომ ღონისძიების მოხმარების მხრივ საკმაოდ საშიში ზღვარისათვის მივდივართ.

და ბოლოს, ოლიმპიადის კიდევ ერთი ექვსი შესახებ, რომელიც ავთენტურობის მეტასტაზით მოსწვდა მთელ ქვეყანას, და მასთან — საქართველოს: აქაიდა ოლიმპიადის გამარჯვება დღეს ჩვენი სპორტული მოძრაობის ყველაზე მთავარი პოლიტიკური მიზანს უტოვდებოდა, საკავშირო სპორტსახეობა მასობრივად იყო ხელი ე. წ. „არაოლიმპიური“ სახეობების განვითარებაზე და მთელი სახსრები „ოლიმპიური“ გადაავტოვდა. ანალოგიურად არაოლიმპიური სახეობები განიღვენა სსრ კავშირის ხალხთა სპორტკვადების პროგრამიდანაც. ბუნებრივია, იმავე სენმა გადმოინაცვლა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, ძირითადი ფიზიკულტურული კოლექტივების საქმიანობაშიც. ამან მთელ რიგ კლასიკურ სახეობებთან ერთად, დიდად დააზიანა სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების საქმე. თანხა ძირითადად ფეხბურთმა და სხვა სასპორტკვადო სახეობებმა შეჭამა. კარგი ლოზუნგია: „იცოცხლოთ, აქაც გვესროლეთ: სპორტის ეროვნულ სახეობებს მიხედვით უნდა, ის ერის განძია, და ადგილობრივი შესაძლებლობების გამოყენებით განვითარებთ ისინი“. ამას კი ის მოყვა შედეგად, რომ მთელს საქართველოში სახალხო განათლების სისტემის გარდა, იშვიათია ქართული ჰიდაობის „ფასიანი“ ჯგუფები.

4. ოლიგოპიის პროფესიონალიზაციის ფაქტია!

სეულის ოლიმპიადის პროგრამის ოთხ სახეობაში, როგორც ცნობილია, პროფესიონალიზაციის დამატებით მდგომარეობას გამოიწვიებდა არღვია და მომავალში იგი სულ უფრო გააფართოვებს კალაპოტს. გვიხსენებდა თუ არა ჩვენ, ამას ანგარიში უნდა გავწიოთ. მაგრამ როგორ? პირველ ყოვლისა, პროფესიულ სპორტს ჩვენშიც უნდა მივიცეს სათანადო სტატუსი, მაგრამ მანამდე მთელი რიგი საკითხები გასარკვევი, კერძოდ, დასადგინია, უკვე არსებობს თუ არა ჩვენი სპორტულ მოძრაობაში პროფესიონალიზმი? რა ფორმით ვლინდება იგი? სპორტის რომელი სახეობა უფრო შეეგუება პროფესიონალიზმს? რა ნიუანსების გადმოტანა შეიძლება უცხოეთის პროფესიული სპორტიდან? რას მო-

გვეცემს ამ მხრივ ცალკეული სპორტული რგოლების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე?

ამ კითხვით ერთ ნაწილზე პასუხს იძლევა ჩვენი შესანიშნავი სპორტმენი ქალის ნინო დუმბაძის გამოსვლა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც დღემდე შემორჩა ჩემს მენსიურებს. მინდა მოვიტანო მისი შემოკლებული ტექსტი (მკითხველს ვთხოვ ენდოს ჩემს კეთილსინდისიერებას, მე არაფერს ვუმატებ ნ. დუმბაძის თქმულს): „სპორტსმენები ხომ არა, ჩვენში არიან თუ არა პროფესიონალი სპორტსმენები, თანაც მასწავლებლები, რომ ჩვენი ბევრი სპორტსმენი ისე ამთავრებს სპორტულ კარიერას, არც კი იცის, რომელ ორგანიზაციაში იყო გაფორმებული და საიდან იღებდა ხელფასს. ეს მართლაც ასეა. იმ ბუნებრივად ვიხსენებ, რომელიც დღესაც იღებს ღირსებას, რათა სახელი და დიდება არ მოაკლოს ჩვენს საერთაშორისო ავტორიტეტს, ვერ დაგვარალებს პროფესიონალიზმს, თუმცა ამის ნიშნები აუცილებლად მოიძებნება მის საქმიანობაში. აი, მე მყავს ბიზნესული გოგონა, რომელიც არასოდეს გამოსულა სპორტულ არენაზე. მას შეუძლია ერთი კაბა შეიძინოს და იოლად გავიდეს წლის ბოლომდე, მე კი სპორტული ფორმა რიგობა-პირიანად მისვლდება ვარჯიშობის დროს, ერთი თვის მერე იგი გადასადგება; ჩემი ბიძაშვილი დილით გადაკრავს ჩაის ან ყავას და მთელ დღეს სამსახურში ზის; მე ასე ვეღარ მოვიქცევი, დილით მაძირისად უნდა ვისაუზნო, მერე ვისადილო, რომ დიდ ფიზიკურ დატვირთვას გავეძლო და ღამისათვის კალორიებიც აღვიდგინო; ჩემი ბიძაშვილი სამ წელსწინ ერთხელ თუ გავმგზავრება რუსეთში, მე კი, მოგესხებება, სანახევროდ მეზვარობაში ვარ, მძიმეა დღიურად 2 მანეთი და 60 კაპიკი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დილით თუ ჩაის ნამცხვრის ერთი ნაჭერიც მივაყოლო, ჰირი მოგჭამა მთელ დღეს სამყოფად თანხა. დიახ, ჩვენ თუ იმ ორას მანეთს გვაძლევს, რასაც სპორტის თქმისა არ იყოს (მე მაშინ არ მიკითხავს; შემდეგ კი ვერ დავადგინე ვინ ყავდა მას მხედველობაში), ამას იმითმ აკეთებენ, რომ შიმშილით სული არ გავგვარეს. მოდი, ჩვენ ნუ შეგვადარებთ ამერიკელ პროფესიონალებს, რომელთა საუკეთესო ნაწილი წელიწადში ორ მილიონ დოლარს იღებს“. ვფიქრობ, ჰეშმარტებს დალაღებდა ჩვენი სახელოვანი სპორტმენი ქალი.

დღეს გვეუბნებიან: სპორტში გარდაქმნის ყველაზე ხელშეწყობილი მაჩვენებელი სპორტული ორგანიზაციებისა და ცალკეული სპორტული კოლექტივების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა იქნებოდა. ეს სრული ჰეშმარტებაა, მაგრამ ისიც ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენი ეკონომიკური წყობის სპეციფიკა და პრინციპები, იქნებ დროთა გა-

ნმავლობაში დაგორგოლაგებულ ბიუროკრატიაშიც ძნელად გვობს სამეურნეო ანგარიშზე სპორტული მოძრაობის გადაყვანას. სპორტულმა გუნდებმა, ცალკეულმა სპორტსმენებმა პროფესიონალიზმის სტატუსით რომ იცხოვრონ, საამისო ძირითადი შეზღუდვა მათ გაყიდვებში ბილეთებმა უნდა მისცეს. ეს აქცია საქართველოს მაგალითზე მხოლოდ ფეხბურთის მიმართ შეიძლება განხორციელდეს. სხვა სახეობები იმდენად ნაკლებმყოფრებალიანია, რომ სავსეა მათ საკუთარი თავი შეინახონ (ამათ რიცხვში გადის კალათბურთიც, რომელიც თავისი რეგლამენტით კვლავ ნდობის მიხედვით საზღვრის გარეშე სპორტსმენების მიხედვით სპორტული კოლექტივების ეკონომიკურ უზრუნველყოფაში იქვე მეზარება. ახლო მომავალში, როგორც ჩვენი ეკონომიკური განვითარების ტემპები მოწმობს, ბევრი სპორტის შეიძლება თავად განდეს დასახმარებელი და სიღარიბის ქაობიდან ამოსათრევი.

5. ოლიგოპიის პროფესიონალიზაციის ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები

მივჩივებოდა რომ არავინ ჩამითვალოს, მოვიტანს ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, კანადის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების სპეციალისტთა აზრს, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე უხედავად სპორტის (ოლიმპიური მოძრაობის) კომერციალიზაციის პრობლემები ჩამეხდებოდა.

ჯერ საკითხის პოზიტიური მხარეები ჩამოვთვალეთ: კომერციალიზაცია თავისთავად ოლიმპიური სპორტის დაფინანსების კიდევ ერთ დიდ წყაროდ გვევლინება; ხელს უწყობს სპორტული შედეგების ზრდას, განსაკუთრებით ოლიმპიურ სახეობებში; აუმჯობესებს სარეკლამო სააგენტოებისა და ცალკეული სპორტსმენების ფინანსურ მდგომარეობას და ა. შ.

რაც შეეხება ოლიმპიური თამაშების კომერციალიზაციის ნეგატიურ მხარეებს, ამ შემთხვევაში ზემოხსენებული ქვეყნების სპორტის სპეციალისტები არ იშურებენ მუქ ფერებს: სპორტული საქმიანობაში ჩნდება ღირებულებათა გადაფასება წმინდა ოლიმპიური იდეალისაგან და მკაცრი ფინანსური სინამდვილისაგან; კომერციალიზაცია ლაგარს სცემს ოლიმპიური სპორტის აღმზრდელობის ფუნქციას; თამაშების მომწყობი კომიტეტები ადვილად ექ-

ცვიან ამ ოლიმპიურ თამაშებში (ტელევიზია და სხვა) ორგანიზაციები გააუფრეს ქვეშე თამაშების კალენდარი წმინდად მთავარსა და მოთხოვნების მიხედვით. დგება; ხდება სპორტის ცალკეული სახეობების დისკრედიტაცია, განსაკუთრებით იმ სახეობებისა, რომლებსაც ნაკლებად ეტანება მყურებელი და აქედან — ნაკლები შემოსავალი შემოაქვს; ჩნდება „მდიდარი“ და „ღარიბი“ სახეობების დაჯგუფება; შეიძლება სპორტის განვითარების მიზნით იზრდებოდა შეჯიბრებათა რიცხვი, რაც სპორტსმენთა ატრეულ გამოფიტვას იწვევს, უბედურების სპორტსმენის სხვადასხვა მკურნალობის მიხედვით, რომლებიც და ა. შ. და სხვ. ყოველივე ამის გამო დასავლეთის პრესაში ხშირად შეგვხვდებით ასეთ შეფასებებს: „ოლიმპიური თამაშები უახლოვდებიან თავიანთ დასასრულს“, „ჩვენი პაციენტი — ოლიმპიური თამაშები დაავადდა და მას სიკვდილი უახლოვდება“ და სხვ.

ასეთ თუ ისე, ერთი ცნობა: დღესდღეობით მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაში კომერციალიზაციის შეჭრა გრძელდება და, როგორც ეტყობა, მას ვერაფერი შეაჩერებს, და გვიხსენებდა თუ არა, ჩვენც თვალს უნდა გავუსწოროთ ამ მკაცრ სინამდვილეს. ამ საქმეში კარგობით გამოვსდებით და კარგი ორგანიზაციის უნარი გვაქვია, მაგრამ დროა ალბათ ამაშიც გავფრთხივდეთ.

და ბოლოს: მართალია, სპორტის კომერციალიზაცია გარდუილოდ მოვლენა და მან შეიძლება საბოლოო ანგარიშში კეთილი სამსახური გაუწიოს სპორტულ მოძრაობას (მხედველობაში გვაქვს ქვეყნის, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატები, თანების გათამაშება და ა. შ.), მაგრამ ყველაფერი უნდა გავთვალთ იმისათვის, რომ იგივე პროცესი თავიდან ავიცილოთ ოლიმპიური თამაშების; მართლაც და, ყველაფერი ხომ არ უნდა გადავალეკინოთ ასიგნაციების ნიადაგს? ოლიმპიადებში, რომ ორგანიზაციის მთავრობა როგორ დააჯილდოებს, გაამხნევეს და ეკონომიკურად მოამარჯვებს თავის მომავალ ოლიმპიელს, ეს მისი პირადი საქმეა. მაგრამ უშუალო ოლიმპიური თამაშები უნდა გაიწმინდოს ამ სულის გამაქუჭქვიანებელი „ხელის ქუჭქისაგან“, ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო ნუ მოყვართ ქვეყნების შეჯიბრებებს „ფულის ტრიალიში“. დავუბრუნოთ ოლიმპიადებს პირვანდელი სახე და შეგუწარჩუნოთ იგი ჩვენი პლანეტის მომავალს როგორც სიკეთის, პატიოსანის, უნაგრო ორთაბრძოლის, ხალხთა დაახლოებისა და ყველა სხვა სანუკვარი საკაცობრიო იდეალებს უკეთესობიდან სპორტული ზემი.

ავთანდილ ციხაძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 90.

საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა მელაონურ კროსში

ნიმსკლის ნასკვლა უკუსკლა?..

მელაონურ კროსში — კროსმენთა რესპუბლიკურ ჩემპიონატს წლებულს ცხინვალში უმასპინძლებს. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკური პირველობები კროსში იქ არცეც გამართულა, და, თუ ძველსა და ახალ შეჯიბრებებს ერთმანეთს შევადარებთ, დიდ განსხვავებას აღმოვაჩნებთ.

მძლეოსნობის მოყვარულთ ეხსოვებათ ცნობილი კროსები ვახუშტის პრავდის? პრიზები, ხოლო დამსწრენი ალბათ სიამოვნებით გაიხსენებენ, რა სახეობად ჩატარდა ცხინვალში რესპუბლიკური შეჯიბრება ამ პრიზის გათამაშების პროგრამით. მას აუარებდა ხალხი დაეწრო, დისტანციებზე ბრძოლაც ასპარეზობის რანგის შესაფერისი იყო და ა. შ.

გავიდა ათობედ წელიწადი და ცხინვალში ახლა უკვე იმისი მოწმენი გავხდით, თუ როგორ „იხდებოდა ვალდებულებას“ ბილიკზე საქართველოს რამდენიმე ათეული მოწმენალი (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რათა საკუთარი გუნდისთვის ტრავაჩ ჩასათვლილი ქულები მოეკრათ. ეს იყო და ეს.

ბლემა გრძელ დამართში დაქანებული ქვასავით არის და ჯერჯერობით მდგომარეობას გამოიწვიებდა ისა არაფერი ეტყობა. კროსი და საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენა ერთ ეგრძაოდ გადაწულს სახეობებშია, ერთის ჩამორჩენა ავტომატურად სხვებსაც აქვეითებს. ეს „ტრიუმფირატი“ ჩვენში რატომაც აღარ სარგებლობს მოწმენებით და რესპუბლიკურ შეჯიბრებებსაც თანდათან მოაკლდა ინტერესი და მონაწილეობა რაოდენობა.

ზემოთქმულის უსტიკო მიზეზი იქნებ ვერც დავასახელოთ, მაგრამ ვარაუდის უფლებას მაინც მივცემთ თავს. ჯერ ის ვთქვათ, რომ არა გვგონია, საქართველოზე უკეთესი პირობები გრძელ მანძილებზე რბენაში სავარაუდოდ სხვაგან სადმე იყოს. (კავშირის მასშტაბით ვაგებთ). ისიც ჰეშმარტებაა, რომ სტაბილურ ყველაზე სუსტი ჯგუფი (ოლეგ სტრეპეტოვის გარდა) ჩვენ გვეყავს — იქნებ თურქმენებს, ან და ტაჯიკებს ვაჯობოთ. აქ თითქმის ლოგიკურობას ვერც დავინახავთ, თუ მუშაობის ხარისხი და სურვილი არ მივიღებთ მხედველობა-

ში. დიახ, თანდათან განელდა ინტერესი მძლეოსნობის აღნიშნული დისტანციების მიმართ და შედეგადაც არ დააყოვნა, ზოგაერთო რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრება საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენაში პირდაპირ უხალისო სანახავია.

ის კი არ გვიხსენებდა ვთქვათ, რომ აღრე სტაბილური მრავალად გვეყავდა, მაგრამ მაშინ მეტი იყო ინტერესი, ასპარეზობებში — მონაწილეობა რაოდენობა, ჩვენი ერთ-ერთი ახალგაზრდა მორბენალი მუქად შეიღობა ქვეყნის რომელიმე (ასაკის მიხედვით) ნაკრებში. მათგან ოლეგ სტრეპეტოვი დადგინა, რომლის ზურგს უკანაც აღარავინ ჩანს. გრძელ მანძილებზე მორბენლის მოშვადება დიდ, მძლეოსნობისათვისაც კი მეტად დიდ შრომას მოითხოვს. წარმატება ძნელად მისაღწევია და ალბათ ეს გავაძლიერებ უკუსკლა და მელაონურ კროსში. ხელმძღვანელობის მხრიდან დამოკიდებულების შეცვლა მაღელ ეგრძენს გრძელ მანძილებზე რბენის სპეციალისტებმა და მათი რიცხვი — ვინც კიდევ აგრძელებდა საქმეს, ახლა ძალი-


ან მცირეა. ყოველივე ამის შედეგებზე კი ზემოთ ვილაპარაკეთ. ჩვენ კროსის, აგრეთვე საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენას, შემთხვევით როდი ვუწოდებ „ტრიუმფირატი“. ჩვენამდეც აღწევს ექვსი უბნითი თუ ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში გამართული უბრავე ერთმანეთზე პოპულარული და საინტერესო ვარჯიშისა, რომლებიც დიდძალ მყურებელს იზიდავენ. სპორტს რომ თავი დავანებოთ, ყველაფერი ეს ათასობით ადამიანში აღვივებს რბენის სიყვარულს და მათ ჯანმრთელობის ბილიკზე აყენებს...

დავუბრუნდეთ ცხინვალში გამართულ ასპარეზობას. მასპინძლებმა კროსისთვის მეტად რთული რელიეფის ტრასა შეარჩიეს (მეტის საშუალება არც ჰქონდათ) და ამის გამო ბევრ მოუშაღებელ მორბენალს დამატებითი სიბნელის გადასახვა დასჭირდა. ისიც გვიხსენებდა, რომ მათი მოუშაღებლობის დასახნად წამოიხსნენ დასხვა არ იყო საჭირო, ისედაც თვალნათლივ ჩანდა ყველაფერი.

რის; ცხინვალში ინდია ვახუშტის სულ ერთი წამით აჯობა თანაუდელი ეკა კობალაძის და 3.45.0 აჩვენა. ვეთა შორის 12-კილომეტრიან მანძილზე გამარჯვა საქართველოს სამეზბო ჩემპიონმა მარათონულ რბენაში ვალერი გელევიანიშვილმა — 45.44.0.

ღებულების მიხედვით, საქართველოს ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო ვეთა შორის 8 და 12-კილომეტრიან დისტანციებზე, ხოლო ქალთა შორის — 4 და 5 კმ-ზე, მაგრამ 5 კილომეტრზე ვერც ერთმა გუნდმა მორბილი სპორტსმენების გამოყვანა ვერ შეძლო და ამ მანძილზე ჩემპიონატიც არ ჩატარებულა. დანარჩენ დისტანციებზე გამართა რესპუბლიკური პირველობა 1970 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის მორბენალთა შორის.

შეჯიბრების ღებულება არ იყო მკაცრი და რამდენიმე რეგიაონმა (თბილისი, ახალციხე, სამხრეთ ოსეთი) შეძლო ორ-ორი კოლექტივის გამოყვანა. ახალციხელებმა მეტი მობილიზება და პასუხისმგებლობა გამოიჩინეს გუნდის დაკომპლექტებისას და დამაჯერებლად ამარაგეს თბილისის ნაკრებთა თბილისის, ცხინვალის, მეტი მორბენალი ჰყავს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობის დაუდევრობის გამო ისი-



სსრ კავშირის
ჩამოშორება
ფანჯარაში

მატჩი შედგება სოფრი

სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის მატჩი ერევნის „არარატს“ და თბილისის „დინამოს“ შორის დღეს უნდა გამართულიყო ერევანში, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით თამაში გადაიტანეს სოფში.
დასაწყისი 19 საათზე.

განხილდა სსრ კავშირის 52-ე ჩემპიონატი ფეხბურთში. გუშინ შედგა X ტურის პირველი მატჩი, მისკოვის დინამოელებმა მიიღეს დუშანბენს „პამირი“.

უცხოეთის ფეხბურთის აზვავი

● იუგოსლავიის თასი მოიპოვეს ბელგრადის „პარტიზანის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც ფინალურ მატჩში დიდი ანგარიშით დაამარცხეს ქ. მოსტარის „ველეი“ — 6:1.

● შვეიცარიის ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნა ახლო წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელი, დასავლეთგერმანელი უ. შტილიკე. ბოლო 4 წლის განმავლობაში იგი შვეიცარიის „ჰას-მაქსი“ გამოდიოდა და კარგად იყო ერკვევა აქაური ფეხბურთის ნიუანსებში. უ. შტილიკე 35 წლისაა, ფეხბურთის თამაშს შარშან დაიწყო თავი, მრავალჯერ გამოსულა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში.

● იტალიის ნაკრებისა და „რომას“ ცნობილი ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი ბრუნო კონტი 6 მატჩით დისკვალიფიცირებულია იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის მიერ. „ასკოლისთან“ მატჩში ბ. კონტი შეეცადა ხელი გაერტყა არბიტრისთვის, მის ხულიგნურ გამხრლობას ვულგარული კომენტარები აძვირებს. ამის გამო „რომა“ დაჯარიმეს 20 მილიონი ლირით (14 ათასი დოლარით), იტალიური გაზეთები აღნიშნავენ, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი 17 წლის მანძილზე ბრუნო კონტი მესამედ გააძევეს მინდვრიდან.

● მარტინის „რეალის“ ცნობილი საფეხბურთო კლუბის მწვრთნელად მომავალი სეზონიდან იმუშავებს ინგლისელი სპეციალისტი ჯონ ტრეპი. ამ პოსტზე მან პოლანდიელი ლეო ბინაკერი შეცვალა. პოლანდიელი მწვრთნელის მეთაურობით „რეალმა“ ორჯერ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონობა და წლეულსაც სრული შანსი აქვს მოიგოს ოქროს მედლები, მაგრამ „რეალის“ წარმომადგენელმა უურნალობს განუცხადა, რომ მწვრთნელის შეცვლის მიზეზი საერთაშორისო საარბიტრულ მდგომარეობა ბოლო წლების უფერული გამოსვლები.

ვლადიმერ ბარქაია: „...არ უნდა დაკუთვით შეხდეთ, რასაც უხეზურით არ გვაკაბიებს“

(დასასრული)

— ჩვენი ფეხბურთის დონეს თბილისის „დინამო“ განსაზღვრავს. უკუსვლა ქართულ ფეხბურთში ბევრმა მიზეზმა განაპირობა, რომლის სრული ანალიზი ახლა სერიოზულად დგას დღის წესრიგში. ქართული ფეხბურთის ტრადიციები მისი ხელწერა, თუ გნებავთ, მისი ეროვნული ხასიათი ყოველმხრივ უნდა გავამდიდროთ და გავაღრმავოთ, ამავდროულად უარი არ უნდა ვთქვათ სხვისგან სწავლაზე — მსოფლიო ფეხბურთში მიმდინარე დადებითი პროცესების განზოგადებაზე. ამისათვის კი საჭიროა თვით სათავეს — ბავშვთა და ქაბუკთა ფეხბურთში მუშაობის რადიკალური გარდაქმნა. სწორედ ბავშვთა ასაკ-

მაგრამ მალაოი კლასის ფეხბურთელებს რატომაც ნაკლებს ვიღებთ. ერთ დროს ნიჭიერ ფეხბურთელებს ზრდიდა ქუთაისში კარლო ხურციძე, კარგი ფეხბურთელები მოდიოდნენ ბათუმიდან, სოხუმიდან, ვაგრიდან, ოჩამჩირიდან. ვერ ვიტყვი, რომ ზემოხსენებულ ქალაქებში ფეხბურთი აღარ უყვართ ან მწვრთნელები გულგულდაკრეფილი მუშაობენ ბავშვებთან, მაგრამ ღირსეულ ცვლას მაინც ვერ ვხედავთ. ალბათ, საჭიროა მწვრთნელები უფრო მეტი შემარტებით მუშაობდნენ. ნიჭიერი ბავშვები არც ისე ცოტაა, საჭიროა მათთან ინდივიდუალური მიდგომა, ისინი საერთო ყალიბში არ უნდა მოქცეულან, თითოეულის ხელწერა გულმოდგინე გორმევენას მოთ-

საცხოვრებელ ადგილთან ან სკოლასთან ახლოს იყოს მოედანი, რომ მოხარდეს შესაძლებლობა მიეცეს „საკუთარ ენაზე ელაპარაკოს“ საყვარელ ბურთს. ვიცი, რომ ბევრ ქვეყანაში ბავშვებისათვის სპეციალური მინდვრები აქვთ, მშვენიერი მოხასხასე ბალახით. არ იფიქროთ, რომ მხოლოდ ისედაც ნაცნობი ფაქტი შეგასხენეთ. ბოლოს და ბოლოს ჩვენშიც ხომ უნდა გადაიქვრას ეს პრობლემა. როგორ, რა გზით? კონკრეტულად ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, ისე კი, ამ საკითხზე სერიოზულად ვფიქრობთ.

● რაც ჩვენი რესპუბლიკის პირველობები ტარდება, მუდამ გვაქვს პრეტენზიები. პირდაპირ პარადოქსია: ჩვენი რაიონები და ქა-

მწუხაროდ, წელსაც გავქვს უხეზობის, დისციპლინის დარღვევის, სუსტი მსაჯობის შემთხვევები.

● ალბათ, ორიოდ სიტყვა „ლელოს“ ახალმშობლებს პრიზუტ უნდა ვთქვათ.

— ესეც კარგი საქმეა. თავად განსაჯეთ: ჩვენმა სამმართველომ დაავალა რესპუბლიკის ყველა გუნდის მწვრთნელს გულდასმით გამოავლინოს თავიანთი რეგიონებში ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები და 10 აკვისტოსათვის წარმოვიდგინოს მათი სიები, ეს სიები ნომერისათვის კიდევ უფრო დაიხვეწება, რათა საუკეთესო მთავარი მწვრთნელი დაკომპლექტებული გუნდები ყველა დინამიკურად მწვრთნელის თანდასწრებით ერთმანეთს შეხვდნენ შესარჩევ მატჩში „ლელოს“ პრიზზე. სიტყვად მოიტანა და საგანგებოდ გამოყოფილი სპეციალისტები მსაჯთა კორპუსის შესავსებად ასევე სავანგებოდ არჩევენ მომავალ არბიტრებს, რომლებსაც შესაბამისი სემინარი-მეცადინეობანი ჩაუტარდებათ.

● ბევრი იწერება, ეგრეთ წოდებულ „ჩატხილ ხილზე“ ქაბუკთა ფეხბურთიდან დიდ ფეხბურთამდე მისასვლელ გზაზე. როგორ ფიქრობთ, გადაწყდა ეს პრობლემა?

— ოლიმპიური მხადების ცენტრი, აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შექმნა სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტას ემსახურება. ორი უკანასკნელი გუნდი, როგორც იცით, რესპუბლიკის პირველობაზე გამოდის პირველ ლიგაში. ასე რომ, სტუდენტ ფეხბურთელი არ იკარგება ფეხბურთისათვის. მაგრამ რა ვუყოთ იმას, ვინც ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებელში და ფეხბურთს კარგად თამაშობს? ახლა ამ მხრივაც არის მიმართული ჩვენი მეცადინეობა. ვცდილობთ, ასეთი ფეხბურთელები არ გამოგვჩენს მხედველობის აზრად ან ვყოველნაირად შეგუწყოთ ხელი მათ დაოსტატებას.

● და ბოლოს საფეხბურთო კავშირის შექმნის შესახებ...

— ამის თაობაზე ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვას ლობნოვსკიმ, პონეღლინიკმა, პროკოპენკომ, შესტერნიოვმა და სხვებმა. მე სავესებით ვუჭერ მათ მხარს. საფეხბურთო კავშირი უნდა იყოს ქვეყნის დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაცია. აქ უნდა მუშაობდნენ საუკეთესო სპეციალისტები — დიდი გამოცდილებით მქონე უანგარო ადამიანები. ახლა საჭიროა მაინცა და მაინც არ ვიჩიროთ მის შექმნაზე, როგორც თვითმისაზე. ყველაფერი უნდა ავსოვდავითონ, გავითვალისწინოთ დეტალებიც კი და უცხოეთის გამოცდილებაც. ერთი სიტყვით, არ უნდა დაუვყოთ შეცდომა, რასაც ფეხბურთი არ გვაკაბიებს. ბოლოს და ბოლოს საფეხბურთო კავშირის შექმნა მხოლოდ „აბრის“ შეცვლა არ უნდა იყოს.

ესაუბრა ოთარ ნოზაძე.



ს უ რ ა თ ზ ე: ვლადიმერ ბარქაია ბურთით ბელგის კლუბის „ლა ვანტუაის“ (გენტი) საჯარიმო მოედანზე სტუმართა ხუთ მცველს შორის. ეს შეხვედრა თბილისის „დინამომ“ მოიგო 2:1. ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ში უნდა ვაზიაროთ ფეხბურთის მომავალი ოსტატები ტექნიკას, ტაქტიკას, საფეხბურთო საზრიანობას, პატარაობიდანვე უნდა ვასწავლოთ ბიჭებს კარში დარტყმა თუ პასი, ფინტი თუ დრობლინგი, ერთგულემა ფეხბურთისადმი, რაინდული ქცევა, პარტიზორისა თუ მეტოქის პატივისცემა.

● საფეხბურთო სკოლებიხა თუ ჭკუფების ნაკლებობას ვერ დავიჩივლებთ, მაგრამ საკითხავია რა „პრობლემები“ უშეგებენ ისინი, ვინ მოდის ამ სკოლებიდან ჩვენს გუნდებში, კერძოდ — „დინამოში“?

— ომამდე განათლების სისტემაში შესანიშნავი მწვრთნელის ასირ გალბერინის გუნდი „მოლოტი“ გვყავდა, ომის შემდეგ სახელგანთქმული 35-ე სკოლის გუნდი, მოგვიანებით კი მას „ნორჩი დინამოელი“ დაემატა. ეს იყო და ეს. ამ სკოლებიდან მართლაც ექსტრა-კლასის ფეხბურთელები გამოდიოდნენ. ვფიქრობთ, მათი ვინაობა ყველამ კარგად იცის. ორი უკანასკნელი სკოლა დღესაც არსებობს, სხვა სკოლებიც დაემატა,

ხოვს, ძირშივე უნდა აღიკვეთოს მხოლოდ მოგებაზე და ქულებზე ფიქრი, სასტიკად უნდა გვებრძოლოთ, ეგრეთ წოდებულ „შეთანხმებულ მატჩებს“, რაც, ჩემი აზრით, საშუალოდ ამხინჯებს ნორჩი ფეხბურთელების მორალს. ამ საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ჩვენი სამმართველო.

● ცხადია, საჭიროა სათანადო „პოლიტიკა“ — შეხაფერისი საფეხბურთო მინდვრები...

— სწორი ბრძანდებით. სიმღერა და ცეკვა კაცმა შეიძლება ისწავლოს სცენის გარეშე, ფეხბურთს კი, როგორც მინიმუმი, მოგვსენებთ, სათანადო მოედანი სჭირდება. ზემოთ უკვე ვახსენეთ ჩვენი რამდენიმე წამყვანი საფეხბურთო სკოლა. პირდაპირ ვიტყვი, არც ერთ მათგანს არა აქვს წესიერი საფეხბურთო მოედანი. წინათ მარტინი, თუ გნებავთ „ველური“ მოედნებიც ვაცილებთ მეტი იყო. სწორედ იქ იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, ტექნიკას ტყავის ბურთის მომავალი ოსტატები სწორედ იქ სწავლობდნენ. აუცილებელია,

ლაქები ნიჭიერ ფეხბურთელებს კი არ ზრდიან „დინამოსთვის“, არამედ თვითონ ელიან იქიდან „ჩამოწერილ“ ოსტატებს. ამგვარ პირველობას აქვს კი გამართლება? ეს კითხვა ბევრს აწუხებს.

— ჩვენი გვაწუხებს. მაგრამ მდგომარეობიდან გამოსვლის იოლი გზის ძიება უსუსურობას ნიშნავს. ბოლო დროს მდგომარეობა ერთობ შეიცვალა. ვფიქრობ, რომ ასაკობრივმა შესწუღვამ (23 წელი) ჩვენს ფეხბურთს კარგი სამსახური უნდა გაუწიოს. ჯერჯერობით ამასვე ემსახურება გუნდში ფეხბურთელის ჩარიცხვისას საცხოვრებელი ადგილის მყარია გათვალისწინებაც. წარმოიდგინეთ, ამას აქა-იქ რაიონისა და ქალაქის ზოგიერთ ხელმძღვანელთა წინააღმდეგობა მოყვა, მაგრამ სახალ, ექვგარეშეა, ჩვენს საერთო საქმეს დიდად წაადგება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რესპუბლიკის პირველობის წლევედელმა მატჩებმა ძირითადად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩვენ ვნახეთ მთელი რიგი საინტერესო, ასე ვთქვათ, ნორმალური თამაშები. სა-



საპარტოვალს ჩამოიონატი

კალათბურთი გმობოდ ტექნიკური შედეგები

გაიმართა კალათბურთულ ვაშთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

6 მაისი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური

კური ინსტიტუტი (თბილისი) 89:94 (40:57). მსაჯები — შ. ქურდიძე (საერთაშორისო კატეგორია) და გ. ოსიაშვილი (საკავშირო კატეგორია).

ფიკალბურთის ინსტიტუტი: კაბუსტინი (31), ჩერქეზიშვილი (14), ლიპარტელიანი (12), მისურაძე (8), უძილაური (8), კობეშვიძე (6), დანიანი (6), ინაური (4).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: ვაშაძე (26), გიორგობიანი (21), გოგელია (15), ცვაგრიშვილი (15), გაბრიჩიძე (13), კობეშვიძე (2), ჯამბურაძე (2).

7 მაისი. ფიკალბურთის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 122:100 (55:48). მსაჯები შ. ქურდიძე (საერთაშორისო კატეგორია) და ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).

ფიკალბურთის ინსტიტუტი: ლიპარტელიანი (30), კობეშვიძე (30), კაბუსტინი (23), ჩერქეზიშვილი (18), უძილაური (9), მისურაძე (6), ტუხაშვილი (4), ხომერიძე (2).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გოგელია (27), ჯამბურაძე (21), გაბრიჩიძე (19), გიორგობიანი (18), ცვაგრიშვილი (13), ვაშაძე (2).

შენიშვნა: პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარდამამ და ვიორგობიანი მსაჯთან შეკამათებისთვის ოთხი შეხვედრით არის დისკვალიფიცირებული.

6 მაისი. კიათურა — „დინამო“ (თბილისი) 54:76 (29:30). მსაჯები რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია) და ა. როსტომაშვილი (საკავშირო კატეგორია).

კიათურა: ძინძიბაძე (12), ყანჩაველი (10), ნადირაძე (10), ბოყოველი (7), ბარათაშვილი (7), კვინიკაძე (5), გურული (3).

„დინამო“: ბაქრაძე (25), ლომთაძე (21), სამინაშვილი (11), ჭაბუკიანი (6), გობრონიძე (4), კირვალიძე (4), ბიჭიაშვილი (3), სარალიძე (2).

7 მაისი. კიათურა — „დინამო“ (თბილისი) 68:54 (36:31). მსაჯები რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია) და ა. როსტომაშვილი (საკავშირო კატეგორია).

კიათურა: გურული (22), ნადირაძე (11), ყანჩაველი (10), კვინიკაძე (10), ძინძიბაძე (6), ბოყოველი (5), მერმანაშვილი (2).

„დინამო“: ლომთაძე (22), ბაქრაძე (15), მახარაძე (8), გობრონიძე (5), ჭაბუკიანი (4).

6 მაისი. „სინათლე“ (თბილისი) — „მარტვი“ (თბილისი) 85:88 (48:52). მსაჯები ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.

„სინათლე“: ქორქია (36), ლონდაძე (27), ჩაჩანიძე (8), რ. ჩაჩანიანი (6), გოგებუღაშვილი (5), დათიკაშვილი (3).

„მარტვი“: მ. ნიკურაძე (31), ხელაშვილი (19), გაბისონია (17), ჩხეიძე (9), ჩუბინიძე (6), ჯაფარიძე (4), კობალევილი (2).

7 მაისი. „სინათლე“ (თბილისი) — „მარტვი“ (თბილისი) 89:85 (48:40). მსაჯები გ. ოსიაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.

„სინათლე“: ლონდაძე (31), ქორქია (26), ძიძიგური (12), ტომარაძე (11), დათიკაშვილი (8), პ. ჩაჩანიანი (1).

„მარტვი“: ხელაშვილი (29), გაბისონია (23), მ. ნიკურაძე (14), ჩხეიძე (9), კობალევილი (4), ჯაფარიძე (2), ვ. ნიკურაძე (2), ჯობინაძე (2).

10 მაისი. ფიკალბურთის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 84:82 (46:39). მსაჯები გ.

ოსიაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).

ფიკალბურთის ინსტიტუტი: კობეშვიძე (27), ჩერქეზიშვილი (21), უძილაური (11), ინაური (10), კობეშვიძე (8), მისურაძე (3), ხომერიძე (2), მოლოდინაშვილი (2).

„დინამო“: ლომთაძე (25), ბაქრაძე (19), მახარაძე (16), გვარამია (11), სამინაშვილი (4), ბიჭიაშვილი (3), დემეტრაშვილი (2), გობრონიძე (2).

11 მაისი. ფიკალბურთის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 78:77 (44:42). მსაჯები ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და გ. ოსიაშვილი (საკავშირო კატეგორია).

ფიკალბურთის ინსტიტუტი: კობეშვიძე (23), ჩერქეზიშვილი (22), უძილაური (14), მისურაძე (8), ინაური (7), ტუხაშვილი (4).

„დინამო“: ბაქრაძე (21), მახარაძე (16), ლომთაძე (15), დემეტრაშვილი (13), გობრონიძე (9), ჭაბუკიანი (2), სარალიძე (1).

საპარტვილოს ჩემპიონატი კალოსნობაში

სჯომს რაიონებზე უმასპინძლონ



ამბროლაურმა პირველად უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს. ნახევარფინალში გატყვევდა ქალაქის პროფკავშირთა სპორტულ კომპლექსში გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატი ამ სახეობაში. ახსარეზობის ამბროლაურში გამართვას ხელი იმანაც შეუწყო, რომ აქ რამდენიმე წელია მუშაობს ძალისხმობის სექცია, რომელსაც სათავეში უდგას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გელა სითათაშვილი. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელის ყოფილმა შეგირდმა, საქართველოს ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ბიძინა მიქიაშვილმა მშობლიური ქალაქის დედასთან თავისი გამოხვედით დაამშვენა — პირადი რეკორდი ორპილის ჯამში 15 კგ-ით გაუმჯობესა. მიხი შედეგი მთელი 40 კგ-ით აღმატება სპორტის ოსტატის ნორმატებს...

ამბროლაურში შედეგები უფრო მაღალი იქნებოდა, შეიძლება მოხდეს, რომ ამბროლაურში მდებარე სპორტის ოსტატმა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრებს კახა კახიას მიხედვით და გრიგოლ ჩუბინიძეს. ისინი ამჟამად ფეოროსიაში არიან საკავშირო შეკრებებზე. სულ მალე, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდება, კახა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება, სადაც უნდა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. მოგვიანებით ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში მიიღებს მონაწილეობას გრიგოლ ჩუბინიძე.

ტესად მიუწვდომელი ვახდა. ამ ეკუთვნის შევსება. შეიძლება გვეგონოს, რომ ამბროლაურში მდებარე სპორტის ოსტატმა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრებს კახა კახიას მიხედვით და გრიგოლ ჩუბინიძეს. ისინი ამჟამად ფეოროსიაში არიან საკავშირო შეკრებებზე. სულ მალე, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდება, კახა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება, სადაც უნდა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. მოგვიანებით ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში მიიღებს მონაწილეობას გრიგოლ ჩუბინიძე.

იზოვა, ძირითადი გუნდის წევრმა თემურ პოპოვმა კი ხული შეფასება მიიღო. მიღწევად უნდა ჩაითვალოს წყალტუბოს წარმომადგენელთა მიერ დაკავებული მესხეთე ადგილი. აქ ძალისხმობა აღმავლობის გზაზეა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მწვრთნელ გურამ მამიაშვილს. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელთა აზრით, თუ ადგილობრივი

ევი (სამხრეთ ოსეთი, ა. მელოვი) — 87,5+107,5=195, პოპოვ ტყემალაძე (ქუთაისი) — 85+105=190, ხეჩია ჯობაძე (წყალტუბო) — 80+100=180; 80 კგ. ლიგან აგაბელოანი (თბილისი, მ. წერეთელი) — 90+122,5=212,5, ალექსანდრე ალიზარაძე (თბილისი) — 72,5+117,5=210, კობა დიდიბერიძე (სამხრეთი) — 90+110=200; 67,5 კგ. მალხაზ ლომთაძე (ქუთაისი, დ. გაბაძე) — 120+155=275, მამუკა ბესტაგაშვილი (თბილისი) — 115+135=250, გელა მიშველაძე (ქუთაისი) — 105+137,5=242,5; 75 კგ. ბიძინა მიქიაშვილი (ამბროლაური, შ. წერეთელი, გ. სითათაშვილი) — 140+180=320, კობა იობიძე (წყალტუბო) — 130+160=290, ილია თვამთიძე (ქუთაისი) — 120+142,5=262,5; 82,5 კგ. თემურ მოწონელიძე (თბილისი, გ. იარაბეტი) — 140+172,5=312,5, ვლადიმერ გობოზოვი (სამხრეთ ოსეთი) — 140+165=305, გია ცირეკიძე (ქუთაისი) — 135+165=300; 90 კგ. სოსლან კოჩიევი (სამხრეთ ოსეთი, ა. მელოვი) — 147,5+172,5=320, მუსხრან გვგია (ზუგდიდის რაიონი) — 140+160=300, სლავა ვეკუა (ზუგდიდის რაიონი) — 130+164,5=292,5; 100 კგ. ვლადიმერ გასიევი (სამხრეთ ოსეთი, ვ. გრიჭოროვი) — 160+195=355, ხეჩია ქობალია (ზუგდიდის რაიონი) — 150+195=345; 110 კგ. გონა ჩიტაძე (სამხრეთ, შ. წერეთელი) — 150+195=345, ზაზა ხარაიშვილი (სამხრეთ) — 137,5+167,5=305; +110 კგ. კობა ტალახაძე (თბილისი, გ. თოდაძე, შ. წერეთელი) — 175+200=375.



კობა ტალახაძე

ხელმძღვანელობა მხარს დაუჭირა წყალტუბოელთა მომცროს სავარჯიშო ღარბაზის გაფართოებას, მუშაობა უფრო გააშუქა და შედეგებიც შესაბამისად ამაღლდა.

უკეთესი შედეგის მოპოვება შეეძლო თბილისის გუნდს (მესამე ადგილი). ამ შემთხვევაში მას ხელი შეუშალა გუნდის არასწორად დაკომპლექტებამ. მაგალითად, პირად პირველობაში გამოსვლამ, შოთა წერეთლის აღზრდილმა ლევან აგაბულიანმა (60 კგ) ჩემპიონობა მო-

გუნდური: 1. სამხრეთ ოსეთი — 1964 ქულა, 2. ქუთაისი — 1490, 3. თბილისი — 1244.

ნიხსვლის ნახვლად უკუსვლა?

(დახასრული) ნი მეორე ადგილს დასჯერდნენ. დედაქალაქის გუნდს მხოლოდ 9 ქულით ჩამორჩნენ მასპინძლები და მესამე ადგილი დაიკავეს. შეჯიბრებაზე საკმაოდ კარგად გამოვიდა წალკის გუნდი, რომელსაც V ადგილი ხვდა. რამდენიმე ნაკრები ცხინვალში არ ჩამოსულა, თუმცა ადგილების განაწილებაში, არა გვგონია, მათ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეტანათ.

„ლელო“ ხმეც კორ. 213

- საპარტვილოს პირველობა. გომგონები (1973-1974 წწ. დაბ.) 1 კმ. 1. ა. ვაზაგია — 3.45,0; 2. ე. კობლაძე (ორივე — სამხრეთ ოსეთი) — 3.46,0; 3. ვ. გარიშვილი (ბორჯომი) — 3.55,0. 1973-1978 წწ. დაბ. 2 კმ. 1. ა. ლაცაბიძე (ახალციხე-I) — 8.36,0; 2. ფ. ჯიორგია (ცხინვალი-II) — 8.47,0; 3. ვ. პოპოვა (წალკა) — 9.10,0. 1970-1971 წწ. დაბ. 3 კმ. 1. ლ. ნანიშვილი (თბილისი-I) — 14.30,0; 2. ს. საინაშვილი (ახალციხე-I) — 13.48,0; 3. ვ. კახალაძე (წალკა) — 14.04,0. კაბუკები 1974-1975 წწ. დაბ. 2 კმ. 1. დ. შერშენი (თბილისი-I) — 7.35,0; 2. ი. ხინლუხა (აფხაზეთი) — 7.39,0; 3. ც. გელაშვილი (ცხინვალი-I) — 7.55,0. 1972-1978 წწ. დაბ. 3 კმ. 1. გ. სტეპანიანი (ახალციხე-I) — 11.05,8; 2. გ. ივანოვი (თბილისი-I) — 11.26,9; 3. ა. თბელიანი (ახალციხე-II) — 11.37,0. 1970-1971 წწ. დაბ. 6 კმ. 1. დ. ცომარტოვი (რუსთავი) — 24.32,0; 2. ს. პავლოვი (თბილისი-I) — 24.40,0; 3. ა. ელოიანი (ახალციხე-I) — 24.53,0.

მადონა ულაგაბერიძის წარმატება

30 წლისაა პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირის კალენტი პირველობა (14 წლიდან ასაკის გოგონათა) 100-უკრედილი შაშვი. შეჯიბრებაზე მიწვეული იყო თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის, 12 წლის მადონა შალამბერიძე (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი). ტურნირში, რომელიც შეეცარათული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, 16 მოსაშე მონაწილეობდა. შალამბერიძე თავიდანვე წამყვან გუნდში მოექცა და ბოლო ტურის წინ 6,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობდა, მაგრამ ბოლო შეხვედრაში დამარცხდა და საბოლოოდ II-III ადგილები გაიყო. ლ. გრომიკოსთან (მინსკი) ერთად. კოეფიციენტის მიხედვით II ადგილი შალამბერიძეს ხვდა. 7 ქულით კი ჩემპიონის სახელი დისკალტორა უკრაინელმა ნ. ლიტვინეცომ.

დრამატული სუპერფინალი

როგორც მოსალოდნელი იყო, იუგოსლავიის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეყნის უძლიერესი გუნდების ბელგრადის „პარტიზანსა“ და სლობოცის „იუგოსლავსის“ კალათბურთელები. ეს კლუბები წლებადღეს სეზონში საკმაოდ წარმატებით ასპარეზობენ. „პარტიზანი“ ვახდა იუგოსლავიის თასისა და რ. კორაჩის თასის მფლობელი, ხოლო „იუგოსლავსიკამ“ ყველასათვის მოულოდნელად, ევროპის ჩემპიონთა თასი მოპოვდა. ამიტომ მათი შეხვედრა თავისებური ევროპული სუპერფინალიც იყო. პირველმა მატჩმა ბელგრადში უდიდესი ინტერესი გამოიწვია და მას 7.000 მაყურებელი დაესწრო. როგორც ზარბებს „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, ეს იყო ორი დრამატული მოწინააღმდეგის უკიდურესად დაძაბული, უკომპრომისო ბრძოლა. მთელ თამაშში ქულას ქულა მისდევდა. ყველაფერი მატ-

დავისის თასის პრეტენდენტები

ლე ვაიზარა. დანარჩენმა პრეტენდენტებმა — პირველ წრეში წაგებულებმა და ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულებმა შეადგინეს შემდეგი წყვილები: ინგლისი — არგენტინა, შვეიცარია — პარაგვაი, პერუ — ავსტრალია, სამხრეთ კორეა — ისრაელი, დანია — იტალია, ახალი ზელანდია — უნგრეთი, პოლანდია — ინდონეზია. ამ შეხვედრებში გამარჯვებულნი დაიკავებენ ადგილს 16 უძლიერესთა შორის.

„სპორტპროგნოზი“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-19 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 6-9 მაისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.296.056 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (133) მოგება 371 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2475) — 39 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (19525) — 17 მანეთი.

საქართველოში: 13 — 4 (ყველა — თბილისი), 12 — 88, 11 — 983.

მე-19 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 29 მაისიდან 29 ივნისის ჩათვლით.

ეკანაე და ეთერო

ცენტრალური ტელევიზია. 14 მაისი. რიტმული ტანვარჯიში — 9.15 (1); „სპორტოტოს“ ტირაჟი — 9.45 (1); ჰოკეი, ლიგის თასი: ფინალური მატჩი — 18.55 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „მანტორი“ (დონეცკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 20.00 (2) და 21.00 (1); საფეხბურთო მიმოხილვა — 22.55 (1); ტელენაცნობობა — არვიდას საბონისი — 23.25 (1).

15 მაისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 9.35 (1); ჯანმრთელი რომ იყო — 19.15 (2); შვეიცარიის ვოლბოლა — 21.30 (2).

საპარტვილოს ტელევიზია. 14 მაისი. საფეხბურთო მიმოხილვა — 22.55;

საპარტვილოს რადიო. 14 მაისი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — 14.30.

15 მაისი. სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში I ლიგა: „გურია“ (ლანჩხუთი) — ცსკა — 21.45.

რედაქტორი თ. ბანიჩილაძე.

ჩვენს მიხსნაპირი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, ლეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“, რედაქციის განყოფილება — 93-97-55, სამდენო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მართე“ — 93-97-27. 53950 054230 66435 საქართველოს კვ.ს-ს გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ზომარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07 169